ავტობიოგრაფია

მე, ნიკოლოზ ვარაზაშვილი დავიბადე 1982 წლის 28 დეკემბერს, ქ.თბილისში.

1989 – 2000 წლებში ვსწავლობდი თბილისის #125 საჯარო სკოლაში.

2000 წელს ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტზე (სპეციალობით - სამართალმცოდნე), რომელიც დავამთავრე 2005 წელს და მომენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

2004 – 2005 წლებში სტაჟირება გავიარე თბილისის პროკურატურის საგამოძიებო ნაწილში.

12.06.2006 – 26.12.2007 წლებში ვმუშაობდი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, თბილისის მთავარი სამმართველოს გლდანი-ნაძალადევის სასამართლოში - გამომძიებლის თანამდებობაზე.

16.01.2008 – 08.04.2009 წლებში ვიყავი სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი - ადვოკატი (სისხლის სამართლის სპეციალიზაცია).

25.02.2009 - 14.08.2009 წლებში სტაჟირებას გავდიოდი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში.

14.08.2009 - 15.10.2009 წლებში ვმუშაობდი თბილისის საქალაქო სასამართლოში კანცელარიის (განყოფილება) სისხლის სამართლის საქმეთა სექტორის სპეციალისტის პოზიციაზე

15.10.2010 – 10.01.2012 წლებში ვმუშაობდი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის ბიუროში, სხდომის მდივნის პოზიციაზე. (აღნიშნულ პოზიციაზე მუშაობისას - 2010 და 2011 წელს, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მამია ფხაკაძის მიერ გადმომეცა წლის საუკეთესო სხდომის მდივნის სიგელები).

10.01.2012 – 12.10.2016 წლებში ვმუშაობდი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის სამდივნოს მოსამართლის თანაშემწის პოზიციაზე.

12.10.2016 – 23.05.2022 წლებში ვმუშაობდი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის სამდივნოს მთავარი კონსულტანტის - მოსამართლის თანაშემწის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის პოზიციაზე.

23.05.2022 – 26.10.2023 წლებში ვმუშაობდი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადამიანური რესურსების მართვისა და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი კონსულტანტის - მოსამართლის თანაშემწის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის პოზიციაზე.

20.11.2003 – 13.04.2004 წლებში სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ეროვნულ ოლიმპიადაში (ფინალი) მონაწილეობისათვის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურიას მიერ გადმომეცა სიგელი.

16.07.2005 წელს ჩავაბარე პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა.

13.06.2007 წელს ჩავაბარე ადვოკატთა ტესტირება სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

13.09.2008 წელს წარმატებით ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

30.04.2009 წელს ჩავაბარე მოსამართლის თანაშემწის ტესტური გამოცდა.

18.03.2023 წელს წარმატებით ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

2009-2023 წლებში მონაწილეობას ვიღებდი იუსტიციის უმაღლესი სკოლის და სხვა დონორი ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ არაერთ პროფესიულ ტრენინგსა და სასწავლო კურსში (სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის ფორმა, მისი დასაბუთება და ტექსტის სტილისტური გამართულობა; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება; HELP დისტანციური სწავლების კურსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სიახლეები; საქმეთა ნაკადის მართვა; ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და სხვა).

26.10.2023 – 26.10.2024 წლებში იუსტიციის უმაღლეს სკოლაში გავიარე იუსტიციის მსმენელთა სასწავლო კურსი.

მყავს მეუღლე და ორი შვილი.

ნიკოლოზ ვარაზაშვილი

08.11.2024 წელი